ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3993414

ნომერი: AR1577896

თარიღი : 17.02.2018

გაცემის თარიღი : 01.06.2018

გაცნობის თარიღი : 01.06.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ , მე-15 კორპუსის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ კორპუსი N1-ის მიმდებარედ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2994892
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 19.12.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მალხაზ კვესელავა
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფი,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400131905

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ,,ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფი,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400131905
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ ალიბეგაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019005647

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1087.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 604.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4944.7
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1998.1
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1015.1
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 338.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 376.1
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 773.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 444.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 16675.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 15165.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1510.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 39.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 36.12
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.08
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1=508.9კვ.მ:1087=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2=4593.6კვ.მ:1087=4.2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3=238.2 კვ.მ:1087=0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი2018 წლის 17 თებერვლის AR1577896 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დიდი დიღომი , III მ/რ , მე15 კორპუსის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ კორპუსი N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო გეგმაN01.10.08.006.189) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას. პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორია ხასიათდება მკვეთრად გამოხატული სარეკრეაციო მაჩვენებლებით: მკვეთრი რელიეფი, წიწვოვანი ნარგავებით გამწვანებული სარეკრეაციო სივრცე, გზის გაყოლებაზე არსებული ჩამოყალიბებული ხედვითი არეალი. ნაკვეთს გააჩნია დაბალქანობიანი ჩამოყალიბებული რელიეფი, წარმოადგენს აქტიურად გამწვანებულ ტერიტორიას, რომელიც არასდროს ყოფილა განაშენიანებული. აღნიშნული სარეკრეაციო ზოლი ასრულებს მნიშვნელოვან სარეკრეაციო და ნიადაგის დამჭერ ფუნქციას ქალაქის ამ ნაწილისთვის და თავისი მწვანე მასით აბალანსებს მიმდებარედ მაღალი ინტენსივობით გადატვირთულ განაშენიანებას.

სამსახურის წესდების (დებულების) თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ასევე, სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას განეკუთვნება ქ. თბილისის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის პოლიტიკის რეალიზაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება, მათში ცვლილებების შეტანა და დადგენილი წესით მათი დამტკიცება. გარდა ამისა, ამავე დებულების შესაბამისად, სამსახურის

კომპეტენციას წარმოადგენს ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესების, მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნის, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების, ბუნებრივი რესურსებისა და ფასეულობების, მათ შორის, სარეკრეაციო რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და დაცვის მიზნით; ხოლო კანონის ამოცანას წარმოადგენს, ტერიტორიებისა და დასახლებათა განვითარება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპებით, რომლებიც ეკონომიკური და სხვა საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმალიზებით, ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით უზრუნველყოფს ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს არსებობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, ქ. თბილისში, დიდი დიღომი , III მ/რ , მე15 კორპუსის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ კორპუსი N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი N01.10.08.006.189) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.